ნორმის „ნორმატიული შინაარსის“ არაკონსტიტუციურად ცნობის პრინციპები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში

მარინე მარინაშვილი

სამართლის დოქტორი, პროფესორი, ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

marine.marinashvili@atsu.edu.ge

აბსტრაქტი

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმის „ნორმატიული შინაარსის“ არაკონსტიტუციურად ცნობა წარმოადგენს ეფექტურ მექანიზმს კონსტიტუციური წესრიგის დასაცავად, თუმცა მისი გამოყენება მოითხოვს განსაკუთრებულ სიფრთხილეს და დაბალანსებულ მიდგომას, რათა არ მოხდეს სასამართლოს მიერ კანონმდებლის უფლებამოსილებაში არაპროპორციული ჩარევა. საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც ნეგატიური კანონმდებლის როლი არ ნიშნავს, რომ მისი ფუნქცია მხოლოდ ცალკეულ ნორმატიულ აქტებში ახალი დებულებების პირდაპირი ჩაწერის აკრძალვით შემოიფარგლება. ხშირად საკონსტიტუციო სასამართლო აწყდება ფაქტს, როდესაც პრაქტიკაში კანონის ინტერპრეტაცია და გამოყენება, მიუხედავად ტექსტის ფორმალური კონსტიტუციურობისა, ეწინააღმდეგება კონსტიტუციურ პრინციპებს. ამგვარ ვითარებაში სასამართლოს ევალება უზრუნველყოს ეფექტიანი კონსტიტუციური კონტროლი ისე, რომ არ დაარღვიოს ხელისუფლებათა დანაწილების პრინციპი. საქართველოს სამართლებრივ სივრცეში ამ დრომდე არ არსებობს მკაფიო და ერთიანი კრიტერიუმები/სტანდარტი ნორმის „ნორმატიული შინაარსის“ კონსტიტუციურობის შესაფასებლად, რაც იწვევს გაურკვევლობას და ზრდის სასამართლოს მხრიდან სუბიექტური შეფასებების რისკს. ნაშრომში, აშშ-ისა და ევროპის სახელმწიფოთა საკონსტიტუციო სამართლის პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, წარმოდგენილია სახელმძღვანელო კრიტერიუმები, რომლებიც მიზნად ისახავს ნორმის „ნორმატიული შინაარსის“ არაკონსტიტუციურად ცნობის ერთიანი სტანდარტის დადგენას და სასამართლო პრაქტიკის გამჭვირვალობისა და განჭვრეტადობის გაზრდას.

საკვანძო სიტყვები: საკონსტიტუციო სასამართლო, ნორმატიული შინაარსი, საკონსტიტუციო კონტროლი, ნეგატიური კანონმდებელი, სამართლებრივი ინტერპრეტაცია, სასამართლო სტანდარტები

JEL: K10; K40; H11

DOI: 10.52244/c2025.44

შესავალი

ნორმის „ნორმატიული შინაარსის“ არაკონსტიტუციურად ცნობა საკონსტიტუციო მართლმსაჯულებაში ერთ-ერთ ყველაზე რთულ და კომპლექსურ მექანიზმს წარმოადგენს, რომლის განხორციელება მოითხოვს არა მხოლოდ დოგმატურ-სამართლებრივ ცოდნას, არამედ

ღრმა სისტემურ ანალიზს. ხშირად ნორმის სიტყვასიტყვითი მნიშვნელობა ფორმალურად არ არღვევს კონსტიტუციას, მაგრამ მისი პრაქტიკაში ინტერპრეტაცია და გამოყენება ეწინააღმდეგება კონსტიტუციურ პრინციპებს. ამ დროს შეიძლება ითქვას, რომ კონსტიტუციურობა განისაზღვრება არა მხოლოდ ტექსტის შინაარსით, არამედ მის ფაქტობრივ მოქმედებასთან დაკავშირებული შედეგითაც.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმის „ნორმატიული შინაარსის“ არაკონსტიტუციურად ცნობა სერიოზულ სამართლებრივ გამოწვევას წარმოადგენს. იგი მოითხოვს მკაფიო დიფერენციაციას სამართლებრივ და პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს შორის და საკონსტიტუციო სასამართლოს მხრიდან მაღალი ხარისხის სიფრთხილეს, რათა მისი გადაწყვეტილებები ეფუძნებოდეს სამართლებრივ არგუმენტაციას და არა პოლიტიკური მიზანშეწონილობის კრიტერიუმებს. საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე დგას ამოცანა, დაიცვას კონსტიტუციური პრინციპები და უზრუნველყოს სამართლებრივი წესრიგი ისე, რომ არ შელახოს საკანონმდებლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა. ყოველივე აღნიშნული მოითხოვს, რომ ჩამოყალიბდეს ნორმის „ნორმატიული შინაარსის“ არაკონსტიტუციურად ცნობის მკაფიო და ერთიანი შეფასების სტანდარტები.

წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს ამ პრობლემური საკითხის გადაჭრას, კერძოდ ჩამოყალიბდეს სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებიც ხელს შეუწყობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის განჭვრეტადობას და ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბებას.

1. ნორმის „ნორმატიული შინაარსის“ მნიშვნელობა კონსტიტუციური წესრიგის ჩამოყალიბებაში

ნორმის „ნორმატიული შინაარსის“ ძალადაკარგულად გამოცხადება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ სისტემაში, სადაც კანონმდებელი ხშირად ნორმის ზოგად ფორმულირებას ანიჭებს უპირატესობას და მისი გამოყენება დამოკიდებულია სამართალშემფარდებლის განმარტებაზე. ნორმის „ნორმატიული შინაარსის“ არაკონსტიტუციურად ცნობა ნორმის „ტექსტის“ არაკონსტიტუციურად ცნობისგან იმით განსხვავდება, რომ სასამართლო არ აუქმებს კანონის მთლიან ფორმულირებას, არამედ მხოლოდ მის კონკრეტულ ინტერპრეტაციას. ამ პროცესს აქვს მრავალმხრივი მიზნები და შედეგები, რომლებიც გავლენას ახდენენ კონსტიტუციურ წესრიგზე.

ნორმის „ნორმატიული შინაარსის“ არაკონსტიტუციურად ცნობის შემთხვევაში მართალია ნორმა აგრძელებს მოქმედებას, თუმცა მისი კონკრეტული შინაარსით გამოყენება არაკონსტიტუციურად მიიჩნევა. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება მბოჭავი ძალისაა და საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამოქვეყნებიდან იგი მოქმედებს სამართლებრივ სივრცეში პირდაპირი ეფექტით[1].

[1] პ. ჯავახიშვილი, საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებათა საკონსტიტუციო კონტროლი: სამხრეთ კავკასის სახელმწიფოების გამოცდილება და პერსპექტივები, ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, სამართლის ჟურნალი N1, 2016, გვ. 264.

ამ მექანიზმის არსებობის პირობებში პირს შეუძლია გაასაჩივროს არა მხოლოდ ტექსტის ფორმულირება, არამედ ის შინაარსი, რაც ამ ფორმულირებას კანონის პრაქტიკაში გამოყენების შედეგად ენიჭება. ამდენად, ნორმის „ნორმატიული შინაარსის" არაკონსტიტუციურად ცნობის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია კონსტიტუციის უზენაესობის დაცვა კანონის გამოყენების დონეზე. ხშირად კანონის ტექსტი შეიძლება სულაც არ იყოს პრობლემური, თუმცა მისი აღქმა, განმარტება ან/და პრაქტიკაში გამოყენება მოდიოდეს კონსტიტუციასთან წინააღმდეგობაში. ასეთ დროს საკონსტიტუციო სასამართლო მოქმედებს როგორც „კონსტიტუციის დამცველი". იგი აჩერებს კონსტიტუციური ღირებულებების დარღვევას პრაქტიკულ დონეზე, სადაც საფრთხე მოდის არა პირდაპირ ტექსტობრივი ჩანაწერისგან, არამედ მისი ინტერპრეტაციისგან. შესაბამისად, საკონსტუტციო სასამართლო უზრუნველყოფს, რომ კონსტიტუცია იყოს არა მხოლოდ ფორმალური დოკუმენტი, არამედ ცოცხალი, რეალური სამართლებრივი გარანტი დემოკრატიული წესრიგისათვის.

საქართველოს კონსტიტუციით დაფუძნებული ნორმების საკონსტიტუციო კონტროლი ბუნებრივად აყენებს საკონსტიტუციო სასამართლოს ინსტიტუციურ კონფლიქტში სხვა სახელისუფლებო შტოებთან თუ ორგანოებთან, მაგალითად, პარლამენტთან, პრეზიდენტთან ან აღმასრულებელ ხელისუფლებასთან. ეს ასევე შეიძლება ჩაითვალოს სერიოზულ ჩარევად დემოკრატიულ პროცესში, რადგან მოიცავს დემოკრატიული ლეგიტიმაციის მქონე ორგანოს მიერ მიღებული აქტის გაუქმებას[2]. საკონსტიტუციო სასამართლო არ უნდა ჩაერიოს პოლიტიკური შტოების საქმიანობასა და დემოკრატიულ პროცესში იმაზე მეტად, ვიდრე ეს კონკრეტულ სიტუაციაში აბსოლუტურად აუცილებელი და გარდაუვალია.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით იგი ასრულებს ნეგატიური კანონმდებლის ფუნქციას, გავლენას ახდენს ნორმაშემოქმედებით საქმიანობაზე – სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, კონკრეტული ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმა (ნორმები) კარგავს იურიდიულ ძალას, მეტიც, კანონმდებელმა, ხშირ შემთხვევაში, უნდა მიიღოს ახალი, კონსტიტუციის შესაბამისი ნორმები, თუმცა ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საკონსტიტუციო სასამართლო ქვეყანაში ახალი წესრიგის დაგენას (შექმნას) კი არ ემსახურება, არამედ უზრუნველყოფს კონსტიტუციის უზენაესობას და ქმედითობას, ხელს უწყობს მის შესრულებას როგორც სახელმწიფოს, ისე ხალხის მიერ[3].

საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც ნეგატიური კანონმდებლის როლი არ ნიშნავს, რომ მისი ფუნქცია მხოლოდ ცალკეულ ნორმატიულ აქტებში ახალი დებულებების პირდაპირი ჩაწერის აკრძალვით შემოიფარგლება. თუ პრაქტიკაში კანონის ინტერპრეტაცია და გამოყენება, მიუხედავად ტექსტის ფორმალური კონსტიტუციურობისა, ეწინააღმდეგება კონსტიტუციურ პრინციპებს სასამართლოს ევალება უზრუნველყოს ეფექტიანი კონსტიტუციური კონტროლი ისე, რომ არ დაარღვიოს ხელისუფლებათა დანაწილების პრინციპი, არ შეიჭრას საკანომდებლო ხელისუფლების კომპეტენციაში.

---

[2] დ. აბესაძე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმის შინაარსის არაკონსტიტუციურად ცნობა - თეორიული დაკვირვებანი და პრაქტიკული გამოწვევები, საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი, გამოცემა N1 / 2023, გვ. 99.

[3] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის N1/466 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ. II-18.

მართალია, ფორმალური თვალსაზრისით, საკონსტიტუციო სასამართლო ნორმატიული შინაარსის გაუქმებას ნეგატიური კანონმდებლის მანდატის ფარგლებში ახორციელებს თუმცა, ამ ინსტრუმენტის გამოყენება, ნორმის გაუქმების სტანდარტული შემთხვევებისგან განსხვავებით, მეტ სიფრთხილეს მოითხოვს. ეს იმიტომ, რომ ნორმატიული შინაარსის გაუქმებით სასამართლო ფაქტობრივად ახდენს ნორმის ტრანსფორმაციას და ამ გაგებით, ახალ ნორმას ქმნის კიდეც, რაც პოზიტიური კანონმდებლის ფუნქციის შესრულების ზღვარზე გადის[4]. ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლოს უფლება აქვს, გააუქმოს სადავო ნორმა სრულად ან მისი ცალკეული ნაწილი თუ ნორმატიული შინაარსი. თუმცა, მას არ შეუძლია დაადგინოს ახალი წესრიგი (პოზიტიური ნორმაშემოქმედების გზით) ან გააფართოვოს სადავო ნორმის მოქმედება. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გამოიხატოს მხოლოდ სადავო ნორმის ან მისი ნორმატიული შინაარსის არაკონსტიტუციურად ცნობაში ანუ მის გაუქმებაში. ნორმა ბუნდოვნად და განუსაზღვრელად თუ არის ფორმულირებული, ამას პოულობენ ნორმატიული ტექსტის წაკითხვისას, თუმცა ნორმა არის თუ არა ნათლად და ერთმნიშვნელოვნად ჩამოყალიბებული, ეს შესაბამისი საქმისგან დამოუკიდებლად ვერ დადგინდება [5].

საკანონმდებლო პროცესი თავისთავად მოიცავს დემოკრატიული ლეგიტიმაციის მქონე ინსტიტუტის პარლამენტის მიერ ნორმების შემუშავებას, რაც ითვალისწინებს როგორც საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებას, ასევე სამართლებრივი წესრიგის ფორმირებას. შესაბამისად, თითოეული ნორმის ძალადაკარგულად გამოცხადება უნდა მოხდეს განსაკუთრებული სიფრთხილით, რათა არ შეილახოს საკანონმდებლო ორგანოს ავტორიტეტი. ნორმის „ნორმატიული შინაარსის“ განმარტება სასამართლოს აძლევს საშუალებას, შეინარჩუნოს ნორმის მოქმედება იმ ფორმით, რომელიც კონსტიტუციასთან შესაბამისობაშია და გამორიცხოს არაკონსტიტუციური ინტერპრეტაცია. ამდენად, ნორმის ნორმატიული შინაარსის არაკონსტიტუციურად ცნობა წარმოადგენს გზავნილს კანონმდებლისადმი, რომ მომავალში სამართლის ნორმათა შემუშავება და მიღება უნდა განხორციელდეს საკონსტიტუციო პრინციპების მკაცრი დაცვით და განსაკუთრებული სიზუსტით. ყოველივე უზრუნველყოფს კანონის სიცოცხლისუნარიანობას და ამცირებს ხშირი საკანონმდებლო ცვლილებების საჭიროებას, რაც განაპირობებს საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობისადმი პატივისცემას და პოზიტიურად აისახება სამართლებრივ სტაბილურობაზე.

აღსანიშნავია, რომ ერთსა და იმავე ნორმას შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე შესაძლო ნორმატიული შინაარსი, რაც დამოკიდებულია ინტერპრეტაციის ხერხებზე, სამართლებრივ კონტექსტსა და მისი პრაქტიკული გამოყენების ფორმებზე. ამდენად, ნორმის კონსტიტუციურობის შეფასება უნდა ეფუძნებოდეს არა მხოლოდ მის ლინგვისტურ ანალიზს, არამედ იმ სამართლებრივ შედეგებს, რომლებიც წარმოიშობა მისი გამოყენებისას. ნორმატიული შინაარსის ამგვარი გაგება საკონსტიტუციო მართლმსაჯულებას აძლევს საშუალებას შეაფასოს არა მხოლოდ

---

[4] დ. გეგენავა, პ. ჯავახიშვილი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო: პოზიტიური კანონმდებლობის მცდელობა და გამოწვევები, ლადო ჭანტურია 55, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2018, გვ. 125-127, 132.

[5] მ. უგრეხელიძე, ბ. ქანთარია, კონსტიტუციონალიზმი, მიღწევები და გამოწვევები, უნივერსალი, თბილისი, 2019, გვ. 183.

ნორმის აშკარა, არამედ ფარული, შესაძლო არაკონსტიტუციური ეფექტები. ნორმის სრული გაუქმების ნაცვლად, საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია არაკონსტიტუციურად ცნოს მხოლოდ მისი კონკრეტული ნორმატიული შინაარსი. შესაბამისად, აღნიშნული მექანიზმის გამოყენების ერთ-ერთ მიზანს სწორედ საჯარო ხელისუფლების მიერ ნორმის არაკონსტიტუციური შინაარსით გამოყენების პრევენციაც წარმოადგენს. საკონსტიტუციო სასამართლო, ფაქტობრივად, თავისი გადაწყვეტილებით გამორიცხავს ნორმის იმგვარ ინტერპრეტაციას, რომელიც ეწინააღმდეგება კონსტიტუციას. აღნიშნული ქმედების შედეგია არა სადავო ნორმის ძალადაკარგულად გამოცხადება, არამედ არაკონსტიტუციური შინაარსით მისი გამოყენების აკრძალვა. როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო ნორმატიულ შინაარსს არაკონსტიტუციურად ცნობს, ნორმის საკანონმდებლო ფორმულირება ინარჩუნებს თავდაპირველ იურიდიულ ძალას, თუმცა მისი გამოყენება აღარ მოხდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად განსაზღვრული შინაარსით.

ნორმის არასწორი ინტერპრეტაცია პრაქტიკაში ხშირად იწვევს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების არათანაზომიერ შეზღუდვას და ამ დროს სწორედ აღნიშნული მექანიზმი ემსახურება ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების მაქსიმალურ დაცვას. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ნორმის ნორმატიული შინაარსის შეფასება კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მნიშვნელოვან გარანტიას შეიცავს, რამდენადაც დაუშვებლად მიიჩნევს ისეთი კანონის მიღებას, რომელიც წარსულში განხორციელებულ და დასრულებულ ქმედებას სამართალდარღვევათა რიცხვს რეტროაქტიურად მიაკუთვნებს, დააწესებს ან გაამკაცრებს პასუხისმგებლობას და ამით სამართლებრივ შედეგებს ex post facto შეცვლის. ამ პრინციპის დაუცველობის შემთხვევაში საფრთხის ქვეშ აღმოჩნდებოდა არა მარტო ცალკეული ადამიანის კონსტიტუციური უფლებები, არამედ ღირებულებათა წესრიგი, სამართლებრივი უსაფრთხოება, რომელიც თავად წარმოადგენს კონსტიტუციურ უფლებათა არსებობის (დაცვის) საძირკველს. ღირებულებათა ნორმატიული წესრიგი ცალკეული მოქალაქის ქცევათა დეტერმინაციის საშუალებაა. ასეთი წესრიგის პირობებში ადამიანებს აქვთ გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელმწიფო იმოქმედებს სამართლით დადგენილ ფარგლებში და მის მიერ ჩადენილ მოქმედებას შეაფასებს არსებული ნორმატიული სინამდვილის პირობებში[6].

საკონსტიტუციო სასამართლო აიძულებს აღმასრულებელ თუ სასამართლო ხელისუფლებას, გამოიყენონ კანონი კონსტიტუციის სულისკვეთებით. ადამიანის უფლებების დაცვის აღნიშნული მექანიზმი ქმნის პრეცედენტს, რომლის თანახმადაც, ხელისუფლება ვეღარ აირიდებს პასუხისმგებლობას არაკონსტიტუციური პრაქტიკის განხორციელებაზე. ამგვარი მიდგომა არსებითად აფართოებს საკონსტიტუციო კონტროლის ფარგლებს, რითაც შესაძლებელია არა მხოლოდ ნორმატიული ტექსტის შეფასება ფორმალური თვალსაზრისით, არამედ მისი შინაარსობრივი მოქმედების – ფაქტობრივი შედეგების – კონსტიტუციურობის განსჯა. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ მექანიზმის დანერგვით, პირველად ქართულ სამართლებრივ პრაქტიკაში აღიარებულ იქნა, რომ ნორმის შინაარსობრივი რეალობა – ანუ მისი პრაქტიკული ინტერპრეტაცია და განხორციელება – შესაძლოა წინააღმდეგობაში მოვიდეს კონსტიტუციასთან, მისი ენობრივი გამართულობის მიუხედავად.

[6] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 4 მარტის გადაწვეტილება საქმეზე N 1/2/552 „სს ლიბერთი ბანკი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ. II-2.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმის „ნორმატიული შინაარსის“ არაკონსტიტუციურად ცნობა ხელს უწყობს კანონის განჭვრეტადობისა და განსაზღვრულობის ხარისხის გაზრდას. სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც ნორმის კონკრეტულ ნორმატიულ შინაარსს არაკონსტიტუციურად ცნობს, საშუალებას აძლევს როგორც ხელისუფლებას ისე ხალხს უკეთ გაერკვნენ ნორმის მოქმედების დასაშვებ ფარგლებში.

ამგვარი მიდგომა ხელს უწყობს საკონსტიტუციო თეორიის განვითარებას, რაც თავის მხრივ აძლიერებს საზოგადოებრივ ნდობას საკონსტიტუციო მართლმსაჯულების მიმართ. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმის „ნორმატიული შინაარსის“ განმარტება და მის ირგვლივ არგუმენტირებული პოზიციის ჩამოყალიბება ქმნის იურიდიულად სტაბილურ გარემოს, სადაც კანონის განმარტება ეფუძნება კონსტიტუციურ ღირებულებებს.

აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლო საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებისას შეზღუდულია სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებით. ამიტომ ნორმის ნორმატიული შინაარსის დადგენის დროს იგი შემოიფარგლება მხოლოდ სასარჩელო მოთხოვნით სადავოდ გამხდარი ნორმის განმარტებით.

ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმის „ნორმატიული შინაარსის“ არაკონსტიტუციურად ცნობის მექანიზმს უდიდესი მნიშვენლობა აქვს კონსტიტუციური წესრიგის ჩამოყალიბებაში, კერძოდ:

- სადავო ნორმის მოქმედება ნარჩუნდება ანუ კანონი არ უქმდება, თუმცა მისი არაკონსტიტუციური განმარტება კარგავს იურიდიულ ძალას. ამის შედეგად ყველა სახელმწიფო ორგანო ვალდებულია მოცემული ნორმა განმარტოს და გამოიყენოს მხოლოდ იმ კონსტიტუციური შინაარსით, რომელიც მიუთითა საკონსტიტუციო სასამართლომ.
- საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამ შესაძლოა ზეგავლენა მოახდინოს საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობაზეც. იმის მიუხედავად, რომ სასამართლო არ აუქმებს ნორმის ტექსტს, მისი განმარტება კანონის ხარვეზს ავლენს, რაც შეიძლება გახდეს ბიძგი პარლამენტისთვის, რომ შეცვალოს ან დააზუსტოს სადავო ნორმა.
- ნორმის „ნორმატიული შინაარსის“ არაკონსტიტუციურად ცნობის ინსტიტუტი ხაზს უსვამს, რომ კანონმდებელიც კი არ არის აბსოლუტური თავის საქმიანობაში და მისი შემოქმედება საკონსტიტუციო კონტროლს ექვემდებარება. ყოველივე აღნიშნული კი ხელს უწყობს ხელისუფლების დანაწილების პრინციპის რეალიზებას და წარმოადგენს ეფექტურ გარანტიას არ მოხდეს უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება.
- ამგვარი გადაწყვეტილებები ზრდის მოქალაქეთა ნდობას საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართ. კერძოდ, მოქალაქე დარწმუნებულია, რომ დაცულია ნორმების არასწორი განმარტებისაგან და მისი რწმენა სამართლებრივი სისტემის მიმართ იზრდება.
- საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება უზრუნველყოს მოქმედი კანონმდებლობის თანხვედრა კონსტიტუციურ სტანდარტებთან, რაც კიდევ უფრო ამყარებს კონსტიტუციის უზენაესობას.

2. ნორმის „ნორმატიული შინაარსის“ არაკონსტიტუციურობის დადგენის კრიტერიუმები

2.1 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმის „ნორმატიული შინაარსის“ არაკონსტიტუციურობის დადგენის კრიტერიუმები

საკონსტიტუციო სასამართლო ნორმატიული აქტის შემოწმებისას ითვალისწინებს არა მხოლოდ ნორმის სიტყვასიტყვით მნიშვნელობას, არამედ მასში გამოხატულ რეალურ აზრს, მისი გამოყენების პრაქტიკას და კონსტიტუციის შესაბამისი ნორმის არსს[7]. აღნიშნული დებულება ერთი შეხედვით მარტივ სამართლებრივ მოცემულობას ადგენს, თუმცა საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მრავალმხრივი განვითარების შესაძლებლობას იძლევა.

საკონსტიტუციო სასამართლო, ნორმის ნორმატიული შინაარსის განსაზღვრისას, თავისუფალია მსჯელობასა და არგუმენტირებაში. თუმცა, სასამართლოსთვის სავალდებულოა კონსტიტუციის ნორმები და ტერმინები, რომლებიც ავტონომიური სამართლებრივი მნიშვნელობით განიმარტება და არა ქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად[8].

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით ნორმის ნორმატიულ შინაარსზე მსჯელობა მაშინ ხდება რელევანტური, როცა ნორმის გამოყენება თავიდანვე, ავტომატურად არ იწვევს კონსტიტუციის დარღვევას მისი გამოყენების ყველა შესაძლო სიტუაციაში არამედ, არაკონსტიტუციური შედეგი დგება მხოლოდ ნორმის შეფარდების ზოგიერთ კონკრეტულ შემთხვევაში[9]. როდესაც ნორმატიული აქტიდან მხოლოდ კონსტიტუციის საწინააღმდეგო ინტერპრეტაციის გამოტანაა შესაძლებელი, ასეთ ვითარებაში შეფასების ობიექტი თავად ნორმატიული აქტი ხდება და იგი უნდა მივიჩნიოთ არაკონსტიტუციურად. ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ნორმატიული აქტიდან ამავდროულად კონსტიტუციის შესაბამისი ინტერპრეტაციის გამოტანაცაა შესაძლებელი შეფასების საგანი ნორმის ინტერპრეტაციის კონკრეტული შემთხვევები ხდება. ნორმის ორგვარი განმარტების შესაძლებლობა მას გარკვეულ საეჭვოობას სძენს. ამგვარი საეჭვოობისას კი მოქმედებს ნორმის კონსტიტუციურობის პრეზუმფცია და, შესაბამისად, ის კონსტიტუციის შესატყვისად უნდა იქნას განმარტებული[10].

საკონსტიტუციო სასამართლოს ევალება, შეაფასოს არა მხოლოდ სადავო ნორმის ფორმალური შესაბამისობა კონსტიტუციურ მოთხოვნებთან, არამედ დაადგინოს, რამდენად იცავს მისი **შინაარსი კონსტიტუციური უფლების არსს.** აღნიშნული პრინციპი ევროპის ქვეყნებში ცნობილია, როგორც **Essence of rights (ინგლისურად)/Wesensgehaltsgarantie (გერმანულად).** ბევრი ევროპული კონსტიტუცია მოიცავს დებულებას, რომელიც კრძალავს ძირითადი უფლების „არსებითი შინაარსის“ ხელყოფას, რაც ნიშნავს უფლებათა შეზღუდვა არ უნდა იყოს იმდენად მასშტაბური, რომ უფლებამ თავისი ძირითადი ფუნქცია და შინაარსი დაკარგოს და დარჩეს მხოლოდ ფორმალურ გარანტიად[11]. თუ ნორმის ნორმატიული შინაარსი ან მისი გამოყენება

---

[7] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

[8] ბ. ზოიძე, საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება, 2007, გვ. 64.

[9] საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №1/1/477 საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ. II-81.

[10] საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №1/1/428,447,459 საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქე ელგუჯა საბაური და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზვიად მანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ. II-18.

[11] Takis Tridimas and Giulia Gentile, The Essence of Rights: An Unreliable Boundary?, Cambridge University Press, 2019, p.795.

იმდენად ზღუდავს ძირითად უფლებას რომ ის პრაქტიკულად აღარ არსებობს ან შეუძლებელია მისი განხორციელება ეს შინაარსი არაკონსტიტუციურია.

ნორმის „ნორმატიული შინაარსის“ კონსტიტუციურობის კონტროლი გულისხმობს სადავო ნორმის გამოყენების შინაარსის დადგენას. ამ უფლებამოსილების ფარგლებში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, ნორმის სხვადასხვა განმარტების მეთოდის გამოყენებით, ადგენს მის ნორმატიულ ბუნებასა და გრამატიკულ მნიშვნელობას. იგი ითვალისწინებს ნორმის გამოყენების პრაქტიკას და ადგენს, თუ რამდენად თავსებადია ის კონსტიტუციით განსაზღვრული ძირითადი უფლებების შინაარსთან[12]. საკონსტიტუციო სასამართლო ამოწმებს არა მხოლოდ ნორმატიული აქტის ტექსტს, არამედ საჯარო ხელისუფლების მიერ ნორმის შინაარსისა და მისი გამოყენების კონსტიტუციურობასაც. ამ დროს იგი ხელმძღვანელობს პროპორციულობის პრინციპი (Principle of Proportionality), რომელიც არის ევროპული კონსტიტუციური სამართლის უმთავრესი კონცეფცია და ძირითადი ინსტრუმენტი ძირითადი უფლებების შეზღუდვების შეფასებისას[13].

ნებისმიერ შემთხვევაში, კანონში ჩადებული ნება ამ კანონის თვისებას უნდა შეადგენდეს და მისი განმარტების გზით წარმოჩენილი აზრი ამ კანონის შინაარსიდან უნდა გამომდინარეობდეს. განმარტების გზით არ შეიძლება კანონს მიეწეროს ის აზრი, რომელიც მან მხოლოდ საკანონმდებლო ცვლილების შემდეგ შეიძლება შეიძინოს. სამართალშემფარდებელი არ შეიძლება გასცდეს იმ სადემარკაციო ხაზს, რომლის გადალახვის შემთხვევაში, იგი ინტერპრეტატორიდან კანონმდებლად იქცევა. იმავდროულად, სამართალშემფარდებელი არ უნდა აღმოჩნდეს კანონის ვიწროდ განმარტების ტყვეობაში, რაც სერიოზულად დააბრკოლებს კანონის ნამდვილი შინაარსის გამორკვევას და საფრთხეს შეუქმნის კანონის სიცოცხლისუნარიანობას. კერძოდ, კანონი გაუცხოვდება იმ სინამდვილისაგან, რომლის მოსაწესრიგებლადაც შეიქმნა იგი. კანონით მოწესრიგებული ურთიერთობის მრავალფეროვნება და მათი მუდმივი დინამიკურობა ავალდებულებს კანონგამომყენებელს, კანონიდან გამომდინარე ნების ფარგლებში ეგზისტენციალური შეფასება მისცეს მოვლენებს და მოახდინოს სამართლისა და ფაქტის ერთმანეთზე მორგება და მათი მშვიდობიანი თანაარსებობა. სამართალშემფარდებელი ვალდებულია, ყველა შემთხვევაში, დაიცვას ნორმის მოქმედების ფარგლები და არ გასცდეს კონსტიტუციის შესატყვის განმარტებას. კონსტიტუციის შესატყვისი განმარტების საკითხი მაშინ დგება, როცა კანონი აშკარად სხვადასხვა განმარტების შესაძლებლობებს შეიცავს და, სულ მცირე, ერთ-ერთი იქიდან კონსტიტუციური მნიშვნელობის საწინააღმდეგოდ განიმარტება.

კონსტიტუციას უნდა შეესაბამებოდეს არა მარტო თავად ნორმატიული აქტები, არამედ მათი განმარტებანიც. როდესაც ნორმატიული აქტიდან მხოლოდ კონსტიტუციის საწინააღმდეგო განმარტება იკითხება, ასეთ შემთხვევაში შეფასების საგანი ხდება თავად ნორმატიული აქტი და იგი უნდა ჩაითვალოს არაკონსტიტუციურად. ხოლო იმ შემთხვევაში, როცა ნორმატიული აქტიდან იმავდროულად კონსტიტუციის შესატყვისი განმარტებაც იკითხება, ამ დროს შეფასების

[12] პ. ჯავახიშვილი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და ფაქტობრივი რეალური კონტროლი, ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, სამართლის ჟურნალი N1, 2017, გვ. 336.

[13] Wolf Sauter, Proportionality in EU Law: A Balancing Act?, TILEC Discussion Paper, January 25, 2013, p.3-4.

საგანი ხდება ნორმის განმარტების შემთხვევები. მისი ორგვარი განმარტების შესაძლებლობა ნორმას საეჭვოობის თვისებას სძენს. საეჭვოობისას კი მოქმედებს ნორმის კონსტიტუციურობის პრეზუმფცია და შესაბამისად, იგი უნდა განიმარტოს კონსტიტუციის შესატყვისად[14].

საკონსტიტუციო სასამართლოს ნორმის „ნორმატიული შინაარსის" კონსტიტუციურობის დადგენის შემდეგი პრინციპია სიცხადის მოთხოვნა/ნორმის განსაზღვრულობა (Princple of Legal Certainty / Specificity / Bestimmtheitsgebot), რომელიც სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფციიდან გამომდინარეობს და მოითხოვს რომ კანონები იყოს საკმარისად ნათელი, ზუსტი და გასაგები, რათა მოქალაქეებმა შეძლონ თავიანთი ქცევის მოდელირება კანონის მოთხოვნების შესაბამისად. ასევე სახელმწიფო ორგანოების დისკრეცია კანონის გამოყენებისას შეზღუდული იყოს, რათა თავიდან იქნეს აცილებული თვითნებური და დისკრიმინაციული მოპყრობა. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით განსაზღვრულობის კრიტერიუმი გულისხმობს, რომ კანონი უნდა იყოს ხელმისაწვდომი, ნათელი და განსაზღვრული. კანონი განსაზღვრულია, თუ იგი ხელისუფლების ორგანოებს არ ანიჭებს ჩარევის შეუზღუდავ ან ძალიან ფართო დისკრეციას, ან კანონი არის იმგვარად ფორმულირებული, რომ საშუალო ინტელექტუალური კოეფიციენტის მქონე ნებისმიერ მოქალაქეს შესაძლებლობა აქვს წაიკითხოს და აღიქვას, რისი თქმა სურდა კანონმდებელს. თუ ნორმის „ნორმატიული შინაარსი" იმდენად ბუნდოვანია, რომ იგი არ იძლევა მკაფიო მითითებას ან პირიქით თვითნებურ გამოყენებას უშვებს, აღნიშნული შინაარსი არაკონსტიტუციურად უნდა იქნეს ცნობილი.

საკონსტიტუციო სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაში განიმარტა სამართლებრივი უსაფრთხოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი – განსაზღვრულობის პრინციპი, რომელიც განამტკიცებს კანონმდებლობის განჭვრეტადობის გარანტიებს. სამართლებრივი უსაფრთხოების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია სამართლებრივი ნდობის პრინციპი. სამართლებრივი ნდობის პრინციპი ემსახურება მოქმედი სამართლის მიმართ მოქალაქეთა ნდობის განტკიცებას. დაუშვებელია სამართლის ადრესატთა ნდობა შეირყეს კანონით მინიჭებული უფლებების გაუმართლებელი და ხშირი ცვლილებებით. მოქალაქეს უნდა ჰქონდეს ნდობის განცდა კანონით მინიჭებულ პრივილეგიებთან დაკავშირებით. კანონმდებლობა უნდა ასრულებდეს პიროვნული თავისუფლების უზრუნველმყოფ ფუნქციას. ინდივიდებს უნდა შეეძლოთ პირადი, პროფესიული და ეკონომიკური საქმიანობის მყარ სამართლებრივ ფარგლებში წარმართვა. არსებითად განუსაზღვრელი და გაუთვლელი, არასანდო სამართლებრივი განვითარება აჩენს გაურკვევლობის განცდას, რაც აფერხებს ადამიანის პიროვნულ განვითარებას. სამართლებრივი უსაფრთხოება ინდივიდის პიროვნული თავისუფლების მნიშვნელოვანი წინა პირობაა. საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპის გათვალისწინებით, დაცული უნდა იყოს ლეგიტიმური მოლოდინები, რომელთა მიმართაც ინდივიდებს ნდობა გააჩნიათ. კანონით მინიჭებული უფლებების მიმართ მაღალია ინდივიდების ნდობის ხარისხი. აღნიშნული ნდობის

[14] საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №1/1/428,447,459 საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქე ელგუჯა საბაური და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზვიად მანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", პ. II-18.

გაუმართლებელი შერყევა ნეგატიურად აისახება სამართლის მიმართ ნდობასა და სამართლებრივ უსაფრთხოებაზე[15].

თანასწორობის პრინციპი (Principle of Equality) მოითხოვს, რომ მსგავსი შემთხვევები ერთნაირად, ხოლო განსხვავებული შემთხვევები შესაბამისად განსხვავებულად უნდა იყოს განხილული, მაგრამ ლეგიტიმური და რაციონალური საფუძვლით. თუ ნორმის „ნორმატიული შინაარსი" დაუსაბუთებელ დისკრიმინაციას ან არათანაბარ მოპყრობას იწვევს ეს შინაარსი შეიძლება არაკონსტიტუციურად იქნეს ცნობილი. ამ დროსაც კონსტიტუციურობის შეფასება პროპორციულობის ტესტის გამოყენებით ხდება.

დადგენილი პრაქტიკით თუ საკითხი ერთხელ უკვე საკონსტიტუციო კონტროლს დაექვემდებარა, საკონსტიტუციო სასამართლო სარჩელს/წარდგინებას აღარ იღებს ხელახლა არსებითად განსახილველად, რაც ხელს უწყობს სასამართლოს რესურსების რაციონალურ გამოყენებას და სამართლებრივ სტაბილურობას. ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებება ქმნის საყოველთაოდ სავალდებულო სამართლებრივ პრეცედენტს. საკონსტიტუციო სასამართლოს ადგენს, რომ ნორმის ნორმატიული შინაარსის არაკონსტიტუციურად ცნობა არ შემოიფარგლება კონკრეტული სარჩელის/წარდგინების ფარგლებით. თუ სასამართლომ არაკონსტიტუციურად სცნო ნორმის გარკვეულ ინტერპრეტაცია, ეს ნიშნავს, რომ იგი არის ზოგადად მიუღებელი და ყველა სამართალშემფარდებელი ორგანო ვალდებულია იმოქმედოს გადაწყვეტილების შესაბამისად[16]. სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული აღნიშნული სტანდარტი ასახავს სასამართლოს მზადყოფნას, უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა ეფექტური დაცვა არა მხოლოდ ფორმალური სამართლებრივი ჩარჩოების ფარგლებში, **არამედ ერთიანი სამართლიანობის პრინციპის გათვალისწინებით.** ამგვარი მიდგომა განაპირობებს სამართლებრივი შედეგის ერთიანობას, რაც ხელს უწყობს საკონსტიტუციო მართლმსაჯულების განჭვრეტადობას.

2011 წლამდე არსებული მიდგომით საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც წესი, საერთო სასამართლოების პრაქტიკის გაუთვალისწინებლად, საკუთარი შინაგანი რწმენის საფუძველზე განმარტავდა გასაჩივრებულ ნორმას და იმ შემთხვევაში, თუ საკონსტიტუციო სასამართლო დაასკვნიდა, რომ კონსტიტუციის შესაბამისად ნორმის ინტერპრეტაცია შესაძლებელი იყო, იგი ჩვეულებრივ არ დააკმაყოფილებდა სარჩელს[17]. აღნიშნული მიდგომა შეიცვალა და დღეს არსებული პრაქტიკით, საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს საკანონმდებლო ნორმას ზუსტად იმ ნორმატიული შინაარსით, რომლითაც ის საერთო სასამართლომ გამოიყენა. ამ შემთხვევაში, სასამართლო აღარ ანაცვლებს საერთო სასამართლოს მიერ შემოთავაზებულ განმარტებას საკუთარი ინტერპრეტაციით. საერთო სასამართლოები, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, იღებენ საბოლოო გადაწყვეტილებას კანონის ნორმატიულ შინაარსთან, მის

[15] საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე N 2/3/522,553, სპს გრიშა აშორდია საქართველოს პარლამენტის წინააღდმეგ, პ. II- 41-43.

[16] საკონსტიტუციო სასამართლოს 2025 წლის 7 მარტის განჩინება საქმეზე №3/4/1607, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის მე-4 ნაწილის ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობის თაობაზე.

[17] დ. აბესაძე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმის შინაარსის არაკონსტიტუციურად ცნობა-თეორიული დაკვირვებანი და პრაქტიკული გამოწვევები, საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი - გამოცემა 1, 2023, გვ. 102.

პრაქტიკულ გამოყენებასთან და, შესაბამისად, მის აღსრულებასთან დაკავშირებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საერთო სასამართლოების მიერ გაკეთებულ განმარტებას აქვს დიდი მნიშვნელობა კანონის რეალური შინაარსის განსაზღვრისას. საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც წესი, იღებს და იხილავს საკანონმდებლო ნორმას სწორედ იმ ნორმატიული შინაარსით, რომლითაც იგი საერთო სასამართლომ გამოიყენა. თუმცა ამ ზოგადი წესიდან შეიძლება რამდენიმე გამონაკლისი არსებობდეს, მათ შორის, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო დარწმუნდება, რომ ერთი და იგივე ინსტანციის სასამართლოს მიერ გაკეთებული განმარტებები წინააღმდეგობრივია. ასეთ შემთხვევაში ვერ ჩაითვლება, რომ საერთო სასამართლოს მიერ სადავო ნორმის შინაარსი საბოლოოდ განისაზღვრა. ნორმის განმარტების არაერთგვაროვანი პრაქტიკა შესაძლოა ასევე ნორმის ბუნდოვანებაზე და მის არაკონსტიტუციურობაზეც მიუთითებდეს. გარდა ამისა, გამონაკლის შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლო ასევე უფლებამოსილია, არ მიიღოს საერთო სასამართლოს მიერ შემოთავაზებული განმარტება, თუ ის აშკარად არაგონივრულია[18].

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტების პარალელურად, აშშ-სა და ევროპული ქვეყნების სამართლებრივი პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია დამატებითი კრიტერიუმების შეთავაზება, რაც ხელს შეუწყობს კონსტიტუციური კონტროლის მექანიზმების დახვეწას და ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტიტუციური ხარისხის გაუმჯობესებას.

2.2 აშშ-ს გამოცდილება ნორმის „ნორმატიული შინაარსის“ არაკონსტიტუციურად ცნობის შემთხვევაში

აშშ-ის უზენაესი სასამართლოს მიერ ნორმის „ნორმატიული შინაარსის“ შეფასების პროცესს განსაზღვრავს არაერთი დოქტრინა და მიდგომა, რომლებიც წლების განმავლობაში ჩამოყალიბდა სასამართლოს პრეცედენტით. იმის მიუხედავად, რომ ტერმინი „ნორმატიული შინაარსის არაკონსტიტუციურად ცნობა“ შესაძლოა არ იყოს ზუსტად ისე ფორმულირებული აშშ-ის სამართალში, როგორც ეს გერმანულ და ქართულ საკონსტიტუციო სამართალშია, აშშ-ის უზენაესი სასამართლო ასრულებს ანალოგიურ ფუნქციას კანონების კონსტიტუციურობის შეფასებისას, ხშირად არა ტექსტის პირდაპირი გაუქმებით და ნორმის სრულად არაკონსტიტუციურად ცნობით, არამედ მისი განმარტების ან გამოყენების შეზღუდვით.

აშშ-ში ნორმის კონსტიტუციურობის შეფასება ძირითადად ხდება ორი **„Facial Challenge**“ ან „**As-applied challenge“** ფუნდამენტური პრინციპით. **Facial Challenge ანუ ნორმის ტექსტის პირდაპირი გაუქმება** ნიშნავს სამართალწარმოებას, სადაც მოსარჩელე **ნორმატიულ აქტს სრულად და მთლიანად** ეჭვქვეშ აყენებს, როგორც კონსტიტუციის საწინააღმდეგოს. **As-applied challenge** ანუ ნორმის გამოყენების კონსტიტუციურობის შემოწმების პრინციპის მეშვეობით პირი ნორმის კონსტიტუციურობას ეჭვქვეშ აყენებს კონკრეტულ შემთხვევაში ანუ მის მიმართ როგორ იქნა კანონი გამოყენებული. ეს მიდგომა ითვლება უფრო ფრთხილ მექანიზმად, ვიდრე "Facial Challenge", რადგან ის არ მოითხოვს კანონის სრულ გაუქმებას, არამედ მხოლოდ კონსტიტუციურობის გადახედვას კონკრეტული მოქმედების ან ფაქტობრივი სიტუაციის

[18] საქართველოს საკონსტიტუციო 2015 წლის 4 მარტის სასამართლოს გადაწვეტილება საქმეზე N 1/2/552 „სს ლიბერთი ბანკი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ. II-16.

საფუძველზე[19]. ამდენად, ამ დროს სასამართლო არ აუქმებს კანონს მთლიანად, არამედ მის კონკრეტულ, არაკონსტიტუციურ გამოყენებას კრძალავს. სწორედაც ეს უკანასკნელი ტიპის შეფასება ყველაზე ახლოს დგას საქართველოში ჩამოყალიბებულ მექანიზმთან - ნორმის „ნორმატიული შინაარსის" არაკონსტიტუციურად ცნობასთან.

აშშ-ის უზენაესი სასამართლო იყენებს სხვადასხვა „შემოწმების დონეს" (Standards of Review) იმის დასადგენად არის თუ არა კანონი კონსტიტუციური. აღნიშნული დონეები განისაზღვრება იმ კონსტიტუციური უფლების ან კლასიფიკაციის მიხედვით, რომელსაც კანონი ეხება, კერძოდ:

- მკაცრი შემოწმების (Strict Scrutiny) სტანდარტი მოითხოვს, რომ სახელმწიფოს შეუძლია **შეზღუდოს ფუნდამენტური უფლება მხოლოდ მაშინ**, თუ ის დაარწმუნებს სასამართლოს, რომ: 1. არსებობს **გადამწყვეტი (compelling) სახელმწიფო ინტერესი; 2.** კანონი **გარდაუვალია და აუცილებელია** (narrowly tailored) ამ ინტერესის მისაღწევად; 3. **არ არსებობს სხვა, ნაკლებად შემზღუდველი საშუალება**, რომლითაც მიზანი შეიძლება მიღწეულიყო;
- შუალედური შემოწმება (Intermediate Scrutiny) ანუ **კონსტიტუციურობის შეფასების შუა დონე**, რომელიც გამოიყენება თუ საქმე არ ეხება **ფუნდამენტური უფლების შეზღუდვას**, მაგრამ არც ისეთი დაბალი სტანდარტია, როგორიც არის **გონივრული საფუძვლის (rational basis)** ტესტი. იმისათვის, რომ კანონმა გაუძლოს შუალედურ შემოწმებას, მთავრობამ უნდა დაამტკიცოს, რომ ის ემსახურება „მნიშვნელოვან სახელმწიფო ინტერესს" (important governmental interest), კანონი „არსებითად არის დაკავშირებული" (substantially related) ამ ინტერესის მიღწევასთან;
- რაციონალური (გონივრული) საფუძვლის შემოწმება (Rational Basis Review) ყველაზე დაბალი და ყველაზე ხშირად გამოყენებული შემოწმების სტანდარტია. იმისათვის, რომ კანონმა გაუძლოს რაციონალური საფუძვლის შემოწმებას, მოსარჩელემ, და არა მთავრობამ, უნდა დაამტკიცოს, რომ კანონი არ არის რაციონალურად დაკავშირებული რაიმე ლეგიტიმურ სახელმწიფო ინტერესთან[20].

იმის მიუხედავად, რომ აშშ-ის მკაცრი, შუალედური და რაციონალური საფუძვლის შემოწმების დონეების პირდაპირი იმპლემენტაცია ქართულ სისტემაში შეიძლება რთული იყოს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია უფრო მეტი სიცხადე შემოიტანოს თანაზომიერების ტესტის გამოყენებისას, უფლებათა ტიპის ან/და შეზღუდვის სიმძიმის მიხედვით. მაგალითად, მკაფიოდ განასხვავოს თუ როდის მოითხოვს კონსტიტუცია განსაკუთრებით მკაცრ შემოწმებას და როდის არის საკმარისი ნაკლებად მკაცრი შეფასება. ამ შემთხვევაში აშშ-ის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ შემოწმების დონეები გაზრდის გადაწყვეტილების პროგნოზირებას და თანმიმდევრულობას უზრუნველყოს.

აშშ-ის უზენაესი სასამართლო რამდენიმე კონკრეტულ დოქტრინას იყენებს, რომლებიც პირდაპირ მოქმედებენ ნორმის „ნორმატიული შინაარსის" შეფასებაზე, კერძოდ:

---

[19] Differences Between Facial and As-applied Challenges to the Constitutinality of a Statute, BonaLaw Antitrust & Competition, May 21, 2020, https://www.bonalaw.com/insights/legal-resources/differences-between-facial-and-as-applied-challenges-to-the-constitutionality-of-a-statute.

[20] Erwin Chemerinsky, *Constitutional Law: Principles and Policies,* Aspen Publishers / Wolters Kluwer, 2023, p.564.

- **Overbreadth Doctrine** გულისხმობს თუ კანონი **ძალიან ზოგადია** და **ზღუდავს არა მხოლოდ აკრძალულ ქმედებებს, არამედ ასევე კონსტიტუციურად დაცულ გამოხატვასაც,** მაშინ ეს კანონი **თავისთავად არაკონსტიტუციურია (facially unconstitutional).** Overbreadth doctrine არის **პრევენციული მექანიზმი,** რომელიც იცავს საზოგადოების წევრებს **თავდასხმებისგან, ცენზურისგან ან შიშისგან**, რომ კანონი შეიძლება მათ გამოხატვაზეც გავრცელდეს;
- **Vagueness Doctrine** გულისხმობს თუ კანონი **ბუნდოვანია** ანუ **არ არის საკმარისად გასაგები,** რომ ადამიანმა გაარკვიოს **რა არის აკრძალული და რა არა,** მაშინ ეს კანონი **არაკონსტიტუციურია**. მართალია კანონის განსაზღვრულობის პრინციპი გამოიყენება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში, თუმცა სასამართლომ უნდა გააძლიეროს „ბუნდოვანების" დოქტრინის გამოყენება ისეთ შემთხვევებში, როცა კანონი ზედმეტად ზოგადია ან გაურკვეველი, რაც კანონის თვითნებურ ან დისკრიმინაციულ გამოყენებას იწვევს. სასამართლომ უნდა განმარტოს, რომ ნორმის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ასეთ ფართო დისკრეციას ითვალისწინებს არის არაკონსტიტუციური. აშშ-ის უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა ადასტურებს, რომ „ბუნდოვანება" არღვევს სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნდამენტურ პრინციპს - ნორმა უნდა იყოს წინასწარ განსაზღვრული, მკაფიო და ხელმისაწვდომი იმგვარად, რომ მოქალაქეს გააჩნდეს შესაძლებლობა გონივრულად განსაზღვროს თავისი ქცევის სამართლებრივი შედეგები. ამავე დროს, გაუმართლებელია საჯარო ხელისუფლების ორგანოებს მიენიჭოთ ფართო და არაპროგნოზირებადი დისკრეცია იმ საფუძვლით, რომ ნორმის შინაარსი არ არის ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრული.
- **Constitutional Avoidance Doctrine** უზენაეს სასამართლოს აძლევს შესაძლებლობას თავი აარიდოს კონსტიტუციური საკითხების განხილვას და გადაწყვეტას თუ საქმე შეიძლება გადაწყდეს სხვა (სტატუტური, პროცედურული) საფუძვლით. ამ დოქტრინის თანახმად, როდესაც კანონის ნამდვილობა საეჭვო ხდება ან მის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით სერიოზული კითხვები ჩნდება, სასამართლო, პირველ რიგში, ცდილობს დაადგინოს, შესაძლებელია თუ არა კანონის ისე ინტერპრეტირება, რომ თავიდან იქნას აცილებული კონსტიტუციურობის საკითხის განხილვის საჭიროება[21]. აშშ-ში ამ დოქტრინის გამოყენებას, სამართლებრივზე მეტად, მიზანშეწონილობის ფაქტორით ხსნიან. კერძოდ, იმ არგუმენტით, რომ სასამართლოებმა შესაძლებლობის ფარგლებში მინიმუმამდე უნდა დაიყვანონ დაპირისპირება საკანონმდებლო შტოსთან. მიზანშეწონილია, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, შესაძლებლობის ფარგლებში უფრო ხშირად გამოიყენოს კონსტიტუციურ საკითხზე გადაწყვეტილების მიღების თავშეკავების დოქტრინა რათა არ გასცდეს ნეგატიური კანონმდებლის ფუნქციას.

უზენაესი სასამართლო სანამ კანონს არაკონსტიტუციურად გამოაცხადებს, ის ჯერ ცდილობს დაადგინოს მისი „ნორმატიული შინაარსი", რისთვისაც სასამართლო იყენებს სხვადასხვა მეთოდს:

- ტექსტუალიზმი (Textualism) - ყურადღების გამახვილება კანონის სიტყვების მნიშვნელობაზე, რა დროსაც მიიჩნევენ, რომ კანონის მნიშვნელობა მისი ტექსტიდან გამომდინარეობს და არ ეძებენ კანონმდებლის „განზრახვას" კანონის მიღების დროს;

[21] Erwin Chemerinsky, *Constitutional Law: Principles and Policies,* Aspen Publishers / Wolters Kluwer, 2023, p.574.

- ორიგინალიზმი (Originalism) - ცდილობს დაადგინოს კანონის (ან კონსტიტუციის) მნიშვნელობა, როგორც ის იქნებოდა გაგებული მისი მიღების დროს, რაც შეიძლება მოიცავდეს როგორც ტექსტის თავდაპირველ მნიშვნელობას ისე კანონმდებლის განზრახვას;
- დოკუმენტის სტრუქტურა (Structure of the Document) - კანონის ნორმატიული შინაარსი დგინდება მისი სხვა ნორმებთან ან ზოგადად სამართლებრივი სისტემასთან მიმართებით;
- პრეცედენტული სამართალი (Precedent/Stare Decisis) - სასამართლო უმეტესად იცავს თავის წინა გადაწყვეტილებებს, რაც დროთა განმავლობაში აყალიბებს კანონის გარკვეულ „ნორმატიულ შინაარსს";
- კანონმდებლის განზრახვა (Legislative Intent) - სასამართლო იკვლევს „კანონმდებლის განზრახვას" კანონის მიღებისას, რაც შეიძლება გამოვლინდეს საკანონმდებლო ისტორიაში (კომიტეტის ანგარიშები, დებატები და სხვ). აღნიშნული ხელს უწყობს კანონის ნორმატიული შინაარსის დადგენას იმ მიზნებიდან გამომდინარე, რისთვისაც შეიქმნა იგი;
- მიზანმიმართული ინტერპრეტაცია (Porposivism) - რომლის მიხედვითაც, სასამართლო კანონს განმარტავს ისე, რომ მან ყველაზე უკეთ მიაღწიოს თავის მიზანს ანუ იმ სოციალურ ან პოლიტიკურ ამოცანას რისთვისაც ის შეიქმნა[22].

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ნორმის განმარტების დროს ყურადღებას უთმობს ინტერპრეტაციის კონკრეტული მეთოდის გამოყენების დასაბუთებას. კერძოდ, სამართალშემფარდებელი ვალდებულია, გამოიყენოს განმარტების ის მეთოდი, რომელიც ყველაზე ნათლად და ობიექტურად ხსნის როგორც ნორმის არსს, ისე მისი მოქმედების ფარგლებს. სამართალშემფარდებელმა უნდა შეძლოს იმ ნების სწორი შემეცნება, რომელიც ქმნის კანონის სულს. უნდა გაირკვეს, როგორც კანონში ჩადებული ნება კანონმდებლისა, ისე თავად კანონის ნება, რომელიც მისი გამოყენების პროცესში ყალიბდება და ვლინდება. კანონი არაა კანონმდებლის ნებით დეტერმინირებული, ერთხელ და სამუდამოდ მოცემული უცვლელი ფასეულობა. კანონს უნდა შევხედოთ როგორც ცოცხალ ორგანიზმს, რომლის ნებაც სხვადასხვა ცხოვრებისეული შემთხვევების მოწესრიგების პროცესში ვლინდება და იხვეწება. ამიტომაც სადავო ნორმების შეფასებისას უნდა გაირკვეს არა მარტო ის აზრი, რომელიც კანონმდებელს ჰქონდა, არამედ ის აზრიც, რისი პრეტენზიაც შეიძლება ჰქონდეს თვითონ სადავო ნორმას.

კანონის განმარტების აღნიშნული მეთოდოლოგიის სისწორეზე მეტყველებს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაც, რომლის თანახმად, „ნორმის განმარტებისას უნდა გაირკვეს როგორც კანონმდებლის ნება, ისე თავად კანონის ნება. ცალკეულ შემთხვევაში, კანონმდებელმა შესაძლოა, საკმარისი სიზუსტით, სიცხადით და ადეკვატური კონკრეტულობით ვერ გამოხატოს საკუთარი ნება. შესაბამისად, ამა თუ იმ ნორმის ტექსტი პრაქტიკულად დაშორდება კანონმდებლის რეალურ შეხედულებებსა და სურვილებს მის შინაარსთან დაკავშირებით, ანუ კანონის ნება დაშორდება კანონმდებლის ნებას. ასეთ დროს, სამართალშემფარდებელი აუცილებლად უნდა გაერკვიოს გამოსაყენებელი ნორმის ნამდვილ არსში, ჩასწვდეს კანონმდებლის კონკრეტულ მიზანს, მაგრამ ამაში მას თავად ნორმა უნდა დაეხმაროს. სამართალშემფარდებელი, პირველ რიგში, ნორმის ტექსტს ეყრდნობა. თუ ნორმის ტექსტიდან, მასში პრაქტიკულად ასახული

[22] **William N. Eskridge, Philip P. Frickey & Elizabeth Garrett,** *Cases and Materials on Legislation and Regulation: Statutes and the Creation of Public Policy,* West Academic Publishing, 6th Edition, 2020, p. 754 -755.

არსიდან შეუძლებელია კანონმდებლის ნების ზუსტად გარკვევა, ბუნებრივია, სამართალშემფარდებლისათვის გადამწყვეტი იქნება კანონის ნება[23].

აშშ-ისა და საქართველოს საკონსტიტუციო კონტროლის სისტემებს შორის არსებული განსხვავებები ბუნებრივია, მათი ისტორიული და სამართლებრივი კონტექსტის გათვალისწინებით. თუმცა აშშ-ის უზენაესი სასამართლოს მრავალწლიანი პრაქტიკა, განსაკუთრებით კი კანონის ნორმატიული შინაარსის შეფასებასთან დაკავშირებული დოქტრინები ღირებულ გაკვეთილებს და მაგალითებს გვთავაზობს.

2.3 ევროპის ქვეყნების გამოცდილება ნორმის „ნორმატიული შინაარსის“ არაკონსტიტუციურად ცნობის დროს

მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ ევროპულ ქვეყანას საკონსტიტუციო მართლმსაჯულების განხორციელების საკუთარი უნიკალური კონსტიტუციური ტრადიციები გააჩნია მაინც არსებობს ის საერთო მიდგომები, რომლებიც ევროპული საკონსტიტუციო პრაქტიკას აერთიანებს.

ევროპის ქვეყნების საკონსტიტუციო მართლმსაჯულების განმახორციელები ორგანოები რამდენიმე ძირითად მეთოდს და დოქტრინას იყენებენ, რათა შეაფასონ ნორმის ნორმატიული შინაარსი და დაადგინონ მისი არაკონსტიტუციურობა, კერძოდ:

- Declaration of Unconstitutionaliy Without Nullification / “Soft” Nullification რაც გულისხმობს სასამართლო კი მიიჩნევს კანონს როგორც არაკონსტიტუციურს, მაგრამ მას არ აუქმებს და აძლევს კანონმდებელს დროს შეცვალოს ან დააზუსტოს ნორმა. აღნიშნული დროის განმავლობაში ნორმა კვლავ მოქმედებს, თუმცა სახელმწიფო ორგანოები ვალდებულნი არიან იხელმძღვანელონ სასამართლოს განმარტებით. ეს მიდგომა გამოიყენება მაშინ, როდესაც ნორმის დაუყოვნებლივ გაუქმება გამოიწვევს სამართლებრივ ვაკუუმს ან/და მძიმე სამართლებრივ შედეგებს[24]. საქართველოში თუ საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნორმატიული აქტის მოქმედებას შეუძლია ერთ-ერთი მხარისათვის გამოუსწორებელი შედეგები გამოიწვიოს, მას შეუძლია საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ან უფრო ნაკლები ვადით შეაჩეროს სადავო აქტის ან მისი სათანადო ნაწილის მოქმედება[25]. თუ კანონის დაუყოვნებლივ ძალადაკარგულად გამოცხადება გამოიწვევს სერიოზულ სოციალურ ან სამართლებრივ პრობლემებს, საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია დაადგინოს გადაწყვეტილების ძალაში შედის ან აღსრულების განსხვავებული ვადა[26]. ფაქტობრივად, არაკონსტიტუციური ნორმა მოქმედებს რათა კანონმდებელს მიეცეს დრო ახალი, კონსტიტუციური რეგულაციის მისაღებად. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სამართლებრივ სტაბილურობას და ხელისუფლების შტოებს შორის დაბალანსებულ თანამშრომლობას.

---

[23] საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №1/1/428,447,459 საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქე ელგუჯა საბაური და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზვიად მანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ. II-18.

[24] Ran Hirschl, Towards Juristocracy, The Origins and Consequences of the New Constitutinalism, Harvard University Press, Cambridge, Massachusetts and Loondon, England, 2004, p. 147.

[25] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

[26] იქვე, მე-2 და მე-3 პუნქტები.

- Constitutional Interpretation / conforming Interpretation რა დროსაც სასამართლო აცხადებს, რომ კანონი კონსტიტუციურია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის სასამართლოს მიერ მითითებული, კონკრეტული წესით იქნება განმარტებული. ამდენად, კანონის სხვა, არაკონსტიტუციური ინტერპრეტაციები არის გამორიცხული[27]. ეს არის „ნორმატული შინაარსის" კონტროლის ყველაზე პირდაპირი ფორმა, რომელიც სასამართლოს საშუალებას აძლევს „გადაარჩინოს" კანონი მისი არაკონსტიტუციური განმარტებებისგან. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ უფრო აქტიურად უნდა გამოიყენოს აღნიშნული მიდგომა: თუ კანონის ერთ-ერთი ინტერპრეტაცია კონსტიტუციურია, ხოლო მეორე - არაკონსტიტუციური, სასამართლომ უნდა დაადგინოს, რომ კანონი კონსტიტუციურია მხოლოდ კონკრეტული დასაშვები ინტერპრეტაციით. აღნიშნული თავიდან აიცილებს კანონების გაუქმებას და შეამცირებს სამართლებრივი ვაკუუმის რისკს. უფრო მეტიც, აღნიშნული მიდგომა ხელს შეუწყობს სასამართლოსა და საკანონმდებლო ორგანოს შორის დიალოგს და აჩვენებს, რომ სასამართლო არ არის მხოლოდ ნორმის „უარმყოფელი", არამედ „გამასწორებელი" ორგანოა, რომელიც პრობლემის გადაჭრას ცდილობს. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებმა, შესაძლებლობის ფარგლებში, უნდა შეინარჩუნოს დიალოგის რეჟიმი საკანონმდებლო ხელისუფლებასთან და მიიღოს ე.წ. „გამაფრთხილებელი" ტიპის გადაწყვეტილებები, რომლებიც მიუთითებს კანონმდებელს პოტენციური არაკონსტიტუციურობის შესახებ, რაც შესაძლოა დიალოგისთვის ეფექტური ინსტრუმენტად იქცეს. აღნიშნული ხელს შეუწყობს კონსტიტუციური ორგანოების თანამშრომლობას და შეამცირებს სასამართლო აქტივიზმის აღქმას.
- Partial Annulment/Partial Nullification რა დროსაც სასამართლო მხოლოდ კანონის იმ ნაწილს აუქმებს (წინადადებას, სიტყვას), რომელიც არის არაკონსტიტუციური და დანარჩენს ტოვებს ძალაში. აღნიშნული ხშირად გამოიყენება, როცა კანონი მიჩნეულია როგორც „ზოგადი" ან „ბუნდოვანი" და არაკონსტიტუციური ნაწილის მისგან მოშორება საკმარისია კანონის კონსტიტუციურობისთვის[28].

დასკვნა

ნორმის ნორმატიული შინაარსის არაკონსტიტუციურად ცნობა წარმოადგენს კონსტიტუციის უზენაესობის დაცვის მძლავრ ინსტრუმენტს. იგი ხელს უწყობს მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების რეალურ დაცვას. ეს მექანიზმი განამტკიცებს კონსტიტუციურ წესრიგს და ამყარებს საზოგადოების ნდობას საკონსტიტუციო მართლმსაჯულების მიმართ.

ჩატარებული კვლევის შედეგების საფუძველზე მიზანშეწონილად მიგვაჩნია, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის შემდეგი რეკომენდაციების წარდგენა:

- სასამართლომ უნდა გაზარდოს გადაწყვეტილებათა სიცხადე და უფრო დეტალურად უნდა განმარტოს, თუ რომელი კონკრეტული ინტერპრეტაცია ან შინაარსობრივი

[27] Michel Rosenfeld, Andras Sajo, The Oxford Handbook of Comparative Constitutional Law, 2012, p. 987.
[28] Erwin Chemerinsky, *Constitutional Law: Principles and Policies,* Aspen Publishers / Wolters Kluwer, 2023, p. 572.

გამოყენება ხდის ნორმას არაკონსტიტუციურს და რა შემთხვევებზე ვრცელდება მისი გადაწყვეტილება.

- სასამართლომ მკაფიოდ უნდა დაასაბუთოს ინტერპრეტაციის მეთოდები ანუ სასამართლოს გადაწყვეტილებებში უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს გამოყენებული კონსტიტუციური ინტერპრეტაციის მეთოდების დასაბუთებას, რადგან ეს ნორმის „ნორმატიული შინაარსის" დადგენაზე ახდენს პირდაპირ გავლენას და ზრდის გადაწყვეტილებათა გამჭვირვალობას
- გააძლიეროს დოქტრინალური ანალიზი გადაწყვეტილების დასაბუთებაში. კონკრეტული დოქტრინების განმარტებისა და გამოყენებისას სასამართლოს ავტორიტეტი გაიზრდება.
- შესაძლებლობის ფარგლებში უნდა შეინარჩუნოს დიალოგი კანონმდებელთან, მაგალითად „გამაფრთხილებელი" ტიპის გადაწყვეტილებების გამოყენებით, რაც ხელს შეუწყობს კონსტიტუციური ორგანოების თანამშრომლობას და ხელისუფლების შტოებს შორის ბალანსის დაცვას.

გამოყენებული ლიტერატურა

Differences Between Facial and As-applied Challenges to the Constitutinality of a Statute, BonaLaw Antitrust & Competition, May 21, 2020, https://www.bonalaw.com/insights/legal-resources/differences-between-facial-and-as-applied-challenges-to-the-constitutionality-of-a-statute

Erwin Chemerinsky, *Constitutional Law: Principles and Policies,* Aspen Publishers / Wolters Kluwer, 2023

Takis Tridimas and Giulia Gentile, The Essence of Rights: An Unreliable Boundary?, Cambridge University Press, 2019

William N. Eskridge, Philip P. Frickey & Elizabeth Garrett, *Cases and Materials on Legislation and Regulation: Statutes and the Creation of Public Policy,* West Academic Publishing, 6th Edition, 2020

Wolf Sauter, Proportionality in EU Law: A Balancing Act?, TILEC Discussion Paper, January 25, 2013

ბ. ზოიძე, საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება, 2007

დ. აბესაძე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმის შინაარსის არაკონსტიტუციურად ცნობა - თეორიული დაკვირვებანი და პრაქტიკული გამოწვევები, საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი, გამოცემა N1 / 2023

დ. გეგენავა, პ. ჯავახიშვილი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო: პოზიტიური კანონმდებლობის მცდელობა და გამოწვევები, ლადო ჭანტურია 55, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2018

მ. უგრეხელიძე, ბ. ქანთარია, კონსტიტუციონალიზმი, მიღწევები და გამოწვევები, გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი, 2019

პ. ჯავახიშვილი, საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებათა საკონსტიტუციო კონტროლი: სამხრეთ კავკასის სახელმწიფოების გამოცდილება და პერსპექტივები, ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, სამართლის ჟურნალი N1, 2016

პ. ჯავახიშვილი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და ფაქტობრივი რეალური კონტროლი, ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, სამართლის ჟურნალი N1, 2017

საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №1/1/477 საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

საკონსტიტუციო სასამართლოს 2025 წლის 7 მარტის განჩინება საქმეზე №3/4/1607, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის მე-4 ნაწილის ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობის თაობაზე

საქართველოს საკონსტიტუციო 2015 წლის 4 მარტის სასამართლოს გადაწვეტილება საქმეზე N 1/2/552 „სს ლიბერთი ბანკი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის N1/1/428,447,459 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქე ელგუჯა საბაური და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზვიად მანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის N1/466 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონი (31.01.1996)